შეთანხმების ფურცელი

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" თაობაზე

უწყება	შენიშვნა	მდგომარეობა
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ" ქვეპუნქტი და მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რომლითაც დადგენილია უცხოელთათვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები.	საკითხი განისაზღვრა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე
	პროექტის მე-5 მუხლითა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული იმუნიტეტები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ვრცელდება დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირებზე, მათი ოჯახის წევრებზე და შესაბამისად, დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დაკავებულ შენობაზე. აღნიშნული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პერსონალზე გავრცელება უნდა გადაწყდეს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.	საკითხი განისაზღვრა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე
	შეთანხმების პროექტით გათვალისწინებულ რიგ საბაჟო და საგადასახო შეღავათებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლებთან მიმართებით. შესაბამისად, აღნიშნული შეღავათების საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პერსონალზე გავრცელება უნდა გადაწყდეს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.	საკითხი განისაზღვრა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე
	პროექტის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა წარმოადგენს სალიცენზიო საქმიანობის სახეს, რომლისთვისაც „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით დადგენილია შესაბამისი	საკითხი განისაზღვრა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე

	მოსაკრებელი. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათები დგინდება მხოლოდ ამ კანონით.	
	ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	გათვალისწინებულია
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	წარმოდგენილი პროექტის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს სასაზღვრო პოლიცია	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სამინისტროს მიაჩნია, რომ აუცილებელია შემუშავდეს დამატებითი შეთანხმება, სადაც მისიასთან ერთობლივად განისაზღვრება მისი პერსონალის სამედიცინო ევაკუაციის პირობები, ევაკუაციის სპეციალური სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევაკუაციის წინასწარ განსაზღვრულ მასშტაბებთან და მოქმედების არეალთან. აღნიშნულ დოკუმენტში, საჭიროების შემთხვევაში, მითითებულ იქნება ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სერვისებს.	აღნიშნული საკითხი შეთანხმდა ევროკავშირთან მიმდინარე კონსულტაციების დროს.
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში	წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	